ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 56

1ივნისი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

15:30 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა.მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზისთვის ფოლკლორისტისა და ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.**

მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის წერილით საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი"-ის ინიციატივა, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზისთვის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. მიხეილ ამაშუკელმა ისაუბრა ანზორ ერქომაისვილის ღვაწლზე ქართული კულტურის წინაშე. 1968 წლიდან იყო ვოკალურ ანსამბლ „რუსთავის" ხელმძღვანელი. 1972–1975 წლებში რუსთავის სამუსიკო სკოლის დირექტორი. გამოცემული აქვს მის მიერვე ჩაწერილი და გაშიფრული 7 ქართული (გურული) ხალხური სიმღერა. გამოსაცემად მოამზადა კრებული „გურული ხალხური სიმღრები".

2009 წლიდან იყო ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი. 2014 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. დაჯილდოებულია ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

რაც შეეხება გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზს, ის როგორც ცნობილია, ანსამბლ „რუსთავი"-ს მიერ სრულად გარემონტდა და განათება-გახმოვანების თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა. ანსამბლი „რუსთავი" ანზორ ერქომაიშვილის სახელის უკვდავსაყოფად გამოთქვამს სურვილს, რომ ზემოაღნიშნულ საკონცერტო დარბაზს მიენიჭოს მისი სახელი.

კომისიის წევრებმა მოისმინეს აღნიშნული საკითხი, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხის საკრებულოს წინაშე ინიციატივად დარეგისტრირებას.

მიხეილ ამაშუკელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი